



პრესრელიზი

12 დეკემბერი, 2011 წ.

12 დეკემბერს, 13:00 საათზე სასტუმრო „რედისონბლუ ივერიაში“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ საარჩევნო კოდექსის პროექტზე ვენეციის კომისიისა და OSCE/ODIHR-ის პირველადი დასკვნის პროექტზე საჯარო დისკუსიას გამართავენ. შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, მედია საშუალებებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. ღონისძიება იმართება საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) საქართველოს წარმომადგენლობის და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.

ვენეციის კომისიისა და OSCE/ODIHR-ის პირველადი დასკვნის პროექტის განხილვის პარალელურად, შეხვედრაზე საუბარი იქნება „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ პროექტის ტექსტში საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე. ეს ცვლილებები მომზადდა ვენეციის კომისიის, OSCE/ODIHR-ის და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შენიშვნების გათვალისწინებით.

ორგანიზაციების შეფასებით, ვენეციის კომისიისა და OSCE/ODIHR-ის პირველადი დასკვნის პროექტი გარკვეულწილად ეხმიანება ყველა იმ პრობლემას, რომელიც მნიშვნელოვანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის. საქართველოს პარლამენტის მიერ საარჩევნო კანონმდებლობაში გათვალისწინებული შენიშვნები კი არასაკმარისია კონკურენტუნარიანი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად და დამატებით დახვეწას საჭიროებს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

საია: თათია ლომთაძე, ტელ: 593 30 66 99

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED): თამარ ჯიჯიხია, ტელ: 555 97 44 74

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“: ნანა ლომჯანიძე, ტელ: 595 21 03 09

